ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 03-06/14

ქ.ბათუმი 16 მარტი 2023 წელი

ერთი მხრივ სსიპ ქ.ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ზაქარაძის სახით და მეორე მხრივ ი/მ „კობა ხურციძე" (შემდგომში მიმწოდებელი) ს/კ 600030078571 ანგარიშის ნომერი GE39TB7088536010100058 წარმოდგენილი ორგანიზაციის დირექტორის კობა ხურციძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს აწვდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილით) გათვალისწინებულ საქონელს (შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი მითითებულია ფასების ცხრილში) შესაბამისად (CPV-37313000).

1.2 საქონლის სახეობა, რაოდენობა და სხვა სპეციფიკაციები მოცემულია ხელშეკრულების დანართში ფ.3

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1140,00 (ერთი ათას ას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული სრულად შეიძინოს ფასების ცხრილში მითითებული საქონელი, საქონლის შეძენა განხორციელდება წლის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი-ელენა შერვაშიძე დაშესყიდვების ოტიექტის ტექნიკური მახასიათებლის დადგენაზე პასუხისმგებელი პირი ნინო მეფარიშვილი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული მიღება-ჩაბარების საფუძველზე.

3.3 საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 20 აპრილის ჩათვლით პერიოდში.

3.4 **საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. # 5**

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2 მიმწოდებელი ვალედებულია შეტყობინებების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონელის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადახდილი თანხიდან.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6.2. წუნდებული საქონლის შეცვლას მოთხოვნიდან 25 დღის ვადაში თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს მომწოდებელი.

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი სკოლის ბუღალტერი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.4. საჭიროების შემთხვევაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება გადასინჯულ იქნეს როგორც ხელშეკრულების პირობები ასევე ხელშეკრულების ფასებიც.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად.

10.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

10.3. მოწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.4. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები	
„შემსყიდველი“ სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (ქ.ბათუმი,ფიროსმანის ქ.#5) ს/კ 245428933 ანგ.№ GE57LB0121165801639000 მიმღების ბანკი სს“ლიბერთი ბანკი“ კოდი- LBRTGE22 ----------/ზ.ზაქარაძე/ (ხელმოწერა)	„მიმწოდებელი“ ი/მ „კობა ხურციძე“ ქ.ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის ქ. #67 ს/კ 60003007857 ანგ.№ GE39TB7088536010100058 მიმღ. ბანკი: სს “ თიბისი ბანკი “ კოდი: TBCBGE22 ----------/კ.ხურციძე/ (ხელმოწერა)

Koba Khurtsidze 60003007857

Digitally signed by Koba Khurtsidze
Date: 2023.03.17 11:53:23

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	CPV-კოდი	საზომი ერთ.	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ბანის ფანდური	37313000	ცალი	1	450,00	450,00
2	კლასიკური ფანდური	37313000	ცალი	3	230,00	690,00

სულ: 1140,00

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.ბათუმი 16 მარტი 2023 წელი

ვადასტურებთ, რომ ვმონაწილეობდი გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე მომწოდებლის შერჩევაში, რომლის საფუძველზეც შერჩეულ მომოწდებელთან ი/მ „ჯობა ხურციძე" გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 03-06/14 ხელშეკრულება.

ხელწერილით ვადასტურებ, რომ აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში მომოწდებლის შერჩევაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მომწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი/პირები:

სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორი: /ზ.ზაქარაძე/

სკოლის ბუღალტერი: /ე.შერვაშიძე/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ ბათუმი

16 მარტი 2023 წელი

ხელწერილით ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე მომოწდებელთან ი/მ „კობა ხურციძე" გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 03-06/14 ხელშეკრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი/პირები:

სსიპ ქალაქ ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორი: /ზ.ზაქარაძე/

სკოლის ბუღალტერი: /ე.შერვაშიძე/